საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერიშვილი აკაკი მინას ძე

ბერიშვილი აკაკი მინას ძე (6. I. 1915, სოფ. ძეგლევი, ყოფ. ქუთაისის გუბერნია, რაჭის მაზრა, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 15. XI. 1984, თბილისი), არქიტექტორი, არქიტექტურის კანდიდატი (1952). საქართვ. დამს. არქიტექტორი (1971).

დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი (1941). ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. დოცენტი (1954), ფაკულტეტის დეკანი (1970 – 72), არქიტექტურული კონსტრუქციების კათედრის გამგე (1970 – 83); სამრეწველო ნაგებობათა არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი სპეციალისტი საქართველოში.

ს. კინწურაშვილი